



საჩუქრადგანთ წერიდი

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

სარეკომენდაციო წერილი

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური
ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების
ხელმძღვანელობას**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური
ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების
2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული
საანგარიშგებო პერიოდის ნაერთი (კონსოლიდირებული)
ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ანგარიში

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს
ბატონ თორნიკე რიჟვაძეს

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს
ბატონ დავით გაბაიძეს

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს
ბატონ პარმენ ჯალაღონიას

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრს
ბატონ ჯაბა ფუტყარაძეს

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრს
ქალბატონ მაია ხაჯიშვილს

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს
ქალბატონ ნინო ნიჟარაძეს

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრს
ბატონ ზაზა შავაძეს

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის მომზადებული ნაერთი (კონსოლიდირებული) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, შედეგად გაიცა პირობითი დასკვნა.

აუდიტი ჩატარდა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად.

აუდიტის შედეგად გამოვლენილი ნაკლოვანებების საპასუხოდ, წარმოგიდგენთ ჩვენს რეკომენდაციებს და ხელმძღვანელობისთვის მნიშვნელოვან სხვა ინფორმაციას.

პატივისცემით,

ნოდარ ჯავახიშვილი

საქართველოს გენერალური აუდიტორის
მოადგილე

ტერმინები და შემოკლებები.....	2
1. რეკომენდაციები	3
2. ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული კორექტირებები.....	10
3. აუდიტის მიმდინარეობისას გათვალისწინებული საკითხები ..	13
4. კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შეუსაბამობის საკითხები.....	14
5. წინა პერიოდში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა.....	17
საკონტაქტო ინფორმაცია	19

ტერმინები და შემოკლებები

განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ნაერთი (კონსოლიდირებული) ფინანსური ანგარიშგება.

მთავრობა – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა.

საბიუჯეტო ორგანიზაცია – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაცია.

სამინისტრო – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტრო.

სოფლის მეურნეობის სამინისტრო – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

სსბას – საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი (IPSAS).

სსიპ – საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება – ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი.

უმაღლესი საბჭო – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო.

ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

შპს – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

1. რეკომენდაციები

1.1 მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები

აუდიტის მიგნება N1

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ირიცხება 2,880,788,441 ლარის ღირებულების აქტივები და 28,642,717 ლარის ვალდებულებები,¹ მათ შორის, მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები შეადგენს 110,264,120 ლარს, საიდანაც:

ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს აპარატის ფინანსურ ანგარიშგებაში ირიცხება 60,394,025 ლარის მოთხოვნები.² აღნიშნული მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებების დაფარვის ალბათობა დაბალია. ეს მოთხოვნები წარმოადგენს სხვადასხვა ორგანიზაციაზე/ფიზიკურ პირზე სასამართლო გადაწყვეტილებების შედეგად დაკისრებულ თანხებს, რომლებზეც უშედეგოდ მიმდინარეობს სააღსრულებო საქმის წარმოება. მოვალე ფიზიკური/იურიდიული პირი შეყვანილია მოვალეთა რეესტრში.

აუდიტის მიგნება N2

განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ – აჭარის მუზეუმის ფინანსურ ანგარიშგებაში ირიცხება 106,463 ლარის მოთხოვნები, რომელთა დაფარვის ალბათობა ასევე დაბალია, რადგან ამ შემთხვევაშიც უშედეგოდ მიმდინარეობს სააღსრულებო საქმის წარმოება და მოვალე ფიზიკური/იურიდიული პირი შეყვანილია მოვალეთა რეესტრში.

მიზეზი

ინვენტარიზაციის ჩატარებლობა, მოთხოვნების დაფარვის ალბათობის შეუფასებლობა.

გავლენა

ფინანსური ანგარიშგების „მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებების“ მუხლში არსებული უზუსტობები.

რეკომენდაცია

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, მიზანშეწონილია, შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს ბალანსზე აღრიცხული მოთხოვნების სრულ ინვენტარიზაციას, ურთიერთშეძარების აქტების გაფორმებას, დებიტორების რეალობისა და დაფარვის ალბათობის შეფასებას, ასევე დავალიანებების ამოღების პროცესის დაჩქარებასა და შესაბამისი ღონისძიებების გატარებას მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.

კომპონენტები, რომლებზეც

ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

გაიცა რეკომენდაცია

განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.

შესასრულებლად

¹ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თანახმად, ნასესხები თანხები შეადგენს 21,368,819 ლარს, ხოლო სხვა დანარჩენი ვალდებულებების მოცულობა - 7,273,898 ლარს. ნასესხები თანხები უკავშირდება სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტის განსახორციელებლად აღებულ კრედიტებს, რომლის ძირითადი თანხის და დარიცხული სარგებლის გადახდა ხორციელდება რესპუბლიკური ბიუჯეტიდან ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მეშვეობით. სხვა ვალდებულებების ძირითადი ნაწილი (5,974,646 ლარი) წარმოადგენს არაფინანსური აქტივების მიწოდებასთან დაკავშირებულ მოკლევადიან კრედიტორულ დავალიანებას. კერძოდ, სახელმწიფო შესყიდვების ფარგლებში შესრულებული სამშენებლო სამუშაოების ხარისხის დაცვის მიზნით შემსყიდველის მიერ ხდება შესრულებული სამუშაოების ღირებულების 5%-ის ან 2.5%-ის დაკავება.

² მოთხოვნების წარმოშობა ძირითადად დაკავშირებულია უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებულ პირგასამტეხლობთან, რომლებზეც სასამართლოს გადაწყვეტილებები შესულია კანონიერ ძალაში და გაცემულია სააღსრულებო ფურცელი.

1.2 გრძელვადიანი ფინანსური აქტივები

აუდიტის მიგნება

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ირიცხება გრძელვადიანი ფინანსური აქტივები 294,596,748 ლარის ოდენობით, საიდანაც 276,910,462 ლარი აღრიცხულია ანგარიშზე – „ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში“.

აღნიშნული თანხა წარმოადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოების კაპიტალში განხორციელებულ ფულად/ქონებრივ შენატანებს, რომლებიც განხორციელებულია ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს და ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს აპარატების მიერ, შესაბამისად, 275,486,150 ლარის და 1,424,312 ლარის ოდენობით.

საჯარო სექტორის კომერციულ ერთეულებში არსებული წილების ასახვის მიზნით გამოიყენება კაპიტალ-მეთოდი.³ ასევე: სსბასს 36-ში „ინვესტიციები მეკავშირე ერთეულებსა და ერთობლივ საქმიანობებში“ – კაპიტალ-მეთოდი გულისხმობს წილობრივი მონაწილეობის თავდაპირველ აღრიცხვას თვითღირებულების საფუძველზე, ხოლო შემდეგ მის კორექტირებას მეკავშირე ერთეულის ან ერთობლივი საქმიანობის „წმინდა აქტივებში/კაპიტალში“ ინვესტორის კუთვნილ წილში შეძენის შემდგომ მომხდარი ცვლილების შესაბამისად.⁴

ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მართვაში არსებული 28 საწარმოდან 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 10 საწარმოში (საბალანსო ღირებულება – 20,691,561 ლარი) მიმდინარეობს ან/და დასრულდა გადახდისუუნარობის/გაკოტრების საქმის წარმოება. ამჟამად, 8 მათგანი იმყოფება გაკოტრების რეჟიმში და მათი აქტივების ღირებულება გადახდისუუნარობის/გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების მომენტისთვისაც კი არსებითად ნაკლები იყო ვალდებულებების მოცულობაზე.⁵ აღსანიშნავია, რომ ინვენტარიზაციის დროს ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საინვენტარიზაციო კომისიას არ უმსჯელია აქტივების შესაძლო გაუფასურებაზე.⁶

მიზეზი

საინვენტარიზაციო კომისიას არ უმსჯელია აქტივების შესაძლო გაუფასურებაზე, ასევე აქტივების მართვაში არსებულ ხარვეზებზე.

გავლენა

ფინანსური ანგარიშგების „გრძელვადიანი ფინანსური აქტივების“ მუხლში არსებული უზუსტობები.

რეკომენდაცია

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, მიზანშეწონილია შემუშავდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივი მონაწილეობით მოქმედ კომპანიებში არსებული წილების აღრიცხვის პოლიტიკა. კერძოდ, სამინისტრომ განიხილოს კომპანიებში არსებული წილების ერთჯერადად სამართლიანი ღირებულებით შეფასების საკითხი ან საიმედო ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში, კომპანიებში წილობრივი ინსტრუმენტების საბოლოო

³ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის N108 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“ ინსტრუქციის მუხლი 10, პუნქტი 46.

⁴ სსბასს 36, მუხლი 8 განმარტებები.

⁵ არანაკლებ 5,160,199 ლარით.

⁶ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 31 დეკემბრის N364 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების და ინვენტარიზაციის შედეგების საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე აღრიცხვა-ანგარიშგებაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქციის მუხლი 1, პუნქტი 10, ქვეპუნქტი „ი“.

კომპონენტები, რომლებზეც
გაიცა რეკომენდაცია
შესასრულებლად

ნაშთი დააკორექტიროს წინა წლებში არსებული თანხობრივი, ქონებრივი და წილობრივი შენატანებით, მათ შორის, გადახდისუნარიანობის/გაკოტრების საქმის წარმოების შედეგების გათვალისწინებით და გაითვალისწინოს კაპიტალ-მეთოდის მოთხოვნები.

ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

1.3 სხვა არაფინანსური აქტივები

აუდიტის მიგნება

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში „სხვა გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების“ ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 1,677,277,604 ლარს, საიდანაც 96% ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს აპარატის აქტივებია.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ არის ასახული საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მიწის ნაკვეთები და შენობა-ნაგებობები, რომლებიც წარმოადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებას, სარგებლობაში პირველადი გადაცემა არ განხორციელებულა და არ არის შეფასებული.

კანონმდებლობის შესაბამისად,⁷ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელით ფლობს, მართავს და განკარგავს ქონებას და ახორციელებს ქონების მართვასა და განკარგვასთან დაკავშირებულ სხვა უფლებამოსილებებს. შესაბამისად, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე უნდა აღირიცხოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ყველა ქონება, რომლის სარგებლობაში პირველადი გადაცემა არ განხორციელებულა. სამინისტროს ფინანსურ ანგარიშგებაში არ ირიცხება 1000 ერთეულზე მეტი მიწის ნაკვეთი და სხვა უძრავი ქონება, რომელიც საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, წარმოადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებას და არ არის შეფასებული.

აღსანიშნავია, რომ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში არ არის დაცული სტანდარტის მოთხოვნები იჯარის კლასიფიკაციასთან დაკავშირებით.⁸ კერძოდ, საოპერაციო იჯარით გაცემული ქონება „საინვესტიციო ქონებად“ არ არის აღრიცხული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, ხოლო ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული ინფორმაცია არ არის მოცემული განმარტებით შენიშვნებში.

გარდა ამისა, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს აპარატის ფინანსურ ანგარიშგებაში „დაუმთავრებელი მშენებლობის“ ანგარიშზე 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასახულია 542,800 ლარის ღირებულების დაუმთავრებელი აქტივი,⁹ რომელზეც 2018 წლიდან ბრუნვა არ ყოფილა. აღნიშნული აქტივი წარმოადგენს 2018 წელს შესრულებული საპროექტო სამუშაოს ღირებულებას, რომლის სამომავლო გამოყენების გეგმა სამინისტროს არ აქვს. შესაბამისად, აღნიშნული არაფინანსური აქტივიდან მომავალში

⁷ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტი.

⁸ სსპს 16, მუხლი 7, განმარტებები.

⁹ ქალაქ ბათუმში, მ. კომახიძის ქ. N119-ში მდებარე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ადმინისტრაციული შენობის მშენებლობის საპროექტო-სახაროჯთადრიცხოვო დოკუმენტაცია.

	ეკონომიკური სარგებლის მიღების ალბათობა აუდიტის თარიღისთვის არ არის განსაზღვრული. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს აპარატის ბალანსზე ასახული „სხვა არაფინანსური აქტივების“ ნაშთი, შესაძლოა მოიცავდეს ისეთ დაუმთავრებელ აქტივებს, საიდანაც მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება ნაკლებად სავარაუდოა და რაც საჭიროებს დამატებით კვლევას. შესაბამისად, ისინი შესაძლოა არ აკმაყოფილებდეს აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.
მიზეზი	აქტივების მართვაში არსებული ხარვეზები.
გავლენა	ფინანსური ანგარიშგების „სხვა გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების“ მუხლში არსებული უზუსტობები.
რეკომენდაცია	ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, სამინისტროს აპარატმა სსბასს 21-ის მიხედვით, ჩაატაროს გაუფასურების ტესტი და განსაზღვროს აქტივის ბალანსზე აღრიცხვის მიზანშეწონილობა. ასევე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონებებთან დაკავშირებით გააკეთოს შესაბამისი შეფასებები, დააკლასიფიციროს და აღრიცხოს სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად.
კომპონენტი, რომელზეც გაიცა რეკომენდაცია	ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.
შესასრულებლად	

1.4 არამატერიალური აქტივები

აუდიტის მიგნება	კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ირიცხება 3,927,828 ლარის საბალანსო ღირებულების მქონე არამატერიალური აქტივები. სსბასს 31-ის მიხედვით, უნდა შეფასდეს არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები. კერძოდ, უნდა დადგინდეს სასარგებლო მომსახურების ვადა განსაზღვრულია თუ განუსაზღვრელი. განუსაზღვრელი მომსახურების ვადის მქონე აქტივებს ამორტიზაცია არ ერიცხებათ, მაგრამ სავალდებულოა ყოველწლიურად გაუფასურების ტესტირების ჩატარება. საბიუჯეტო ორგანიზაციებში არ გამოიყენება სსბასს 31-ის ზემოაღნიშნული მითითებები, არ არის დასაბუთებული არამატერიალურ აქტივებზე მინიჭებული სასიცოცხლო მომსახურების ვადების განსაზღვრის საკითხი და ყველა არამატერიალურ აქტივზე სასარგებლო მომსახურების ვადად განსაზღვრულია 10 წელი.
მიზეზი	აღრიცხვის არასათანადო პრაქტიკა, სტანდარტის მოთხოვნების შეუსრულებლობა.
გავლენა	ფინანსური ანგარიშგების „არამატერიალური აქტივების“ მუხლში არსებული უზუსტობები.
რეკომენდაცია	ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, საბიუჯეტო ორგანიზაციებმა არამატერიალური აქტივები დააკლასიფიცირონ როგორც განსაზღვრული და განუსაზღვრელი მომსახურების ვადების მქონე აქტივები და განუსაზღვრელი სასიცოცხლო მომსახურების ვადის მქონე აქტივებზე ყოველწლიურად ჩაატარონ გაუფასურების ტესტირება.

კომპონენტები, რომლებზეც
გაიცა რეკომენდაცია
შესასრულებლად

მთავრობის აპარატი.
უმაღლესი საბჭოს აპარატი.
უმაღლესი საარჩევნო კომისია.
ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.
განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო .
სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

აუდიტის მიზნება

ინვენტარიზაცია წარმოადგენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული აქტივების/ვალდებულებების, ასევე განმარტებით შენიშვნებში ან/და საცნობარო ანგარიშებზე ასახული არასაბალანსო კატეგორიების ფაქტობრივი ნაშთების შედარებას ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემებთან.¹⁰ ინვენტარიზაცია არის კონტროლის მექანიზმი, რომლის მიზანია დანაკლისის, ზედმეტობისა და დაზიანებული ან/და გამოუსადეგარი აქტივების იდენტიფიცირება. შესაბამისად, ინვენტარიზაციის ჩატარება მნიშვნელოვანია იმაში დასარწმუნებლად, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ყველა აქტივი და ვალდებულება რეალურად არსებობს და ამასთანავე, ორგანიზაციის მფლობელობაში არსებული ყველა აქტივი სრულად არის ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში. ინვენტარიზაციის სრულყოფილად განხორციელება მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენისთვის, აქტივების ეფექტიანი განკარგვისა და შიდა კონტროლის გასაუმჯობესებლად. საბიუჯეტო ორგანიზაციებში 2021 წელს ჩატარებულ ინვენტარიზაციის პროცესს ახლდა გარკვეული ნაკლოვანებები, კერძოდ:

- მინიჭებული საინვენტარო ნომრის ან შტრიხკოდის შესახებ;
- მატერიალურად პასუხისმგებელი პირის შესახებ;
- ადგილმდებარეობის შესახებ;
- მდგომარეობის შესახებ.

2021 წელს არცერთ საბიუჯეტო ორგანიზაციაში ჩატარებული მოთხოვნების ინვენტარიზაციის დროს არ შეფასებულა მოთხოვნის რეალურობა და დაფარვის ალბათობა.

2021 წელს ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს არ ჩატარებია სხვა გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების ანგარიშზე აღრიცხული უძრავი ქონების ინვენტარიზაცია, რომელიც შესაბამის პერიოდში მოქმედი რეგულაციით უნდა განხორციელებულიყო სამ წელიწადში ერთხელ მაინც.¹¹

აუდიტის ჯგუფის მიერ ჩატარებული, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს აპარატის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების შერჩევითი ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლინდა 32,197,251 ლარის ღირებულების მიწა და შენობა-ნაგებობები, რომლებიც 2021 წლის 31 დეკემბრამდე პრივატიზებულია ან გადაცემულია უვადო სარგებლობაში/საკუთრებაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტებისთვის. შესაბამისად, აღნიშნული აქტივები არ უნდა ირიცხებოდეს ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს აპარატის და შესაბამისად, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

აღსანიშნავია, რომ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ ასევე არ ჩატარებულა იმ უძრავი ქონების ინვენტარიზაცია, რომელიც საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით წარმოადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებას და სარგებლობაში პირველადი გადაცემა 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ იყო განხორციელებული.

¹⁰ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 31 დეკემბრის N364 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების და ინვენტარიზაციის შედეგების საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე აღრიცხვა-ანგარიშგებაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქციის მუხლი 1, პუნქტი 2, ქვეპუნქტი „ა“.

¹¹ დარღვეულია 2021 წელს მოქმედი, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ მუხლი 2, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „ბ“.

მიზეზი

შიდა კონტროლის სისტემის სისუსტე; ფინანსური/არაფინანსური აქტივების მართვაში არსებული ნაკლოვანებები.

გავლენა

ინვენტარიზაცია არის კონტროლის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს დანაკლისის, ზედმეტობისა და დაზიანებული ან/და გამოუსადეგარი აქტივების იდენტიფიცირებას.

რეკომენდაცია

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, საბიუჯეტო ორგანიზაციების ხელმძღვანელობამ, მარეგულირებელი ნორმების საფუძველზე, უზრუნველყოს ორგანიზაციის ბალანსზე აღრიცხული უძრავი ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარება, შედეგების შეფასება და ბუღალტრული აღრიცხვა.

კომპონენტები, რომლებზეც

ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

გაიცა რეკომენდაცია

განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.

შესასრულებლად

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო .

სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

2. ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული კორექტირებები

2.1 მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები

აუდიტის მიგნება	ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს აპარატის ფინანსურ ანგარიშგებაში 37,944,554 ლარის დავალიანება შეცდომით არის აღრიცხული. კერძოდ, შპს Chief Asia international-ის მიმართ მოთხოვნა ნაცვლად 37,944,554 ლარისა, შეადგენს 3,794,554 ლარს.
კომპონენტი, სადაც გამოვლინდა დარღვევა	ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

2.2 სხვა არაფინანსური აქტივები

აუდიტის მიგნება	ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს აპარატის ბალანსზე აღრიცხულია 32,197,251 ლარის ღირებულების მიწა და შენობა-ნაგებობები, რომლებიც 2021 წლის 31 დეკემბრამდე პრივატიზებული ან გადაცემულია უვადო სარგებლობაში/საკუთრებაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტებისთვის. შესაბამისად, აღნიშნული აქტივები არ უნდა ირიცხებოდეს ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს აპარატის და შესაბამისად, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.
კომპონენტი, სადაც გამოვლინდა დარღვევა	ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

2.3 შემოსავლები გრანტებით

აუდიტის მიგნება	სსპას 35-ის მიხედვით, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მთლიანად ელიმინირებული (გამორიცხული) უნდა იყოს შიდაჯგუფური შემოსავლები და ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია ეკონომიკურ ერთეულში შემავალ ერთეულთა შორის განხორციელებულ ოპერაციებთან. ¹² კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგების შესაბამისად, შემოსავლები გრანტებით 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 13,703,103 ლარს, საიდანაც 2,757,121 ლარი აღრიცხულია სასაქონლო ფორმით იმავე დონის სახელმწიფო ერთეულებისაგან მიღებული გრანტების ანგარიშზე. ¹³ მოპოვებული ინფორმაციით, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სარგებლობაში გადასცა ¹⁴ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ბათუმში, დიმიტრი თავდადებულის ქ. N61-ში მდებარე 2755 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განლაგებული შენობა-ნაგებობა, ¹⁵ ქონების ღირებულების გარეშე. გადაცემის შემდეგ, განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ განხორციელდა ქონების შეფასება ¹⁶ და 2,757,121 ლარის აქტივების სასაქონლო ფორმით იმავე დონის სახელმწიფო ერთეულებისაგან მიღებული გრანტების ანგარიშზე აღრიცხვა. კონსოლიდაციის დროს არ მომხდარა შიდა ჯგუფური ოპერაციის ელიმინირება, რადგან ქონება ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე ირიცხებოდა
-----------------	---

¹² სსპას 35, მუხლი 40.

¹³ ანგარიში 4-32-1310.

¹⁴ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს წერილი N01-01-10/41, 20/01/2021.

¹⁵ საკადასტრო კოდი 05.28.05.007.

¹⁶ შპს „ეკონომიკა - აუდიტის“ შემფასებლის დასკვნა უძრავი ქონების შეფასების შესახებ N37, 26/04/2021.

კომპონენტი, სადაც გამოვლინდა დარღვევა

ნულოვანი ღირებულებით. განმარტებით შენიშვნებში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია, თუ რატომ არ განხორციელდა სასაქონლო ფორმით იმავე დონის სახელმწიფო ერთეულებისაგან მიღებული გრანტების ელიმინირება. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - სახაზინო სამსახური.

2.4 სასამართლო დავები

აუდიტის მიგნება

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის პრინციპიდან გამომდინარე,¹⁷ მიზანშეწონილია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში სასამართლო დავების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენა ან საჭიროების შემთხვევაში, შესაბამის მუხლში აღრიცხვა.¹⁸

საბიუჯეტო ორგანიზაციებში არ არის შემუშავებული პოლიტიკა სასამართლო დავებთან დაკავშირებით, არ არის ფორმალიზებული საფინანსო და იურიდიული სამსახურების კომუნიკაციის წესი და პირობები, არ ხორციელდება სასამართლო დავების მოსალოდნელი შედეგების შეფასება და, შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში სათანადოდ არ აისახება მოთხოვნები, ვალდებულებები, პირობითი აქტივები და პირობითი ვალდებულებები. მაგალითად, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ერთ-ერთ დავაში, სადაც სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს 2018 წლის 24 მაისის გადაწყვეტილებით¹⁹ მოწინააღმდეგე მხარეს²⁰ დაეკისრა ჯამში²¹ – 164,657.0 ლარის²² გადახდა, არ მომხდარა სასამართლოს დავის მოსალოდნელი საბოლოო შედეგის შეფასება²³ და, შესაბამისად, 164,657.0 ლარის აქტივად/პირობით აქტივად აღიარება.

აღნიშნული პირობითი ინსტრუმენტის ასახვა მნიშვნელოვანია ფინანსური პოლიტიკისა და ანალიზისათვის, რადგან იძლევა ინფორმაციას პოტენციური აქტივების შესახებ. ამასთანავე, პირობითი ინსტრუმენტის შესახებ ინფორმაცია ფინანსური ანგარიშგების არცერთ კომპონენტში არ არის ასახული, რის გამოც მისი ინვენტარიზაცია საცნობარო მუხლში რეგისტრაციის გარეშე შეუძლებელია.

კომპონენტები, სადაც გამოვლინდა დარღვევა

ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

¹⁷ სსზსს 1, მუხლი 27.

¹⁸ სსზსს 19.

¹⁹ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 24 მაისის გადაწყვეტილება (საქმე N2/ზ-245).

²⁰ შპს „გრანტი-2003.“

²¹ 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

²² 7,036 აშშ დოლარი (იმ პერიოდის საშუალო ოფიციალური გაცვლითი კურსი 1 აშშ დოლარი - 1.76 ლარი) და 2014 წლის 13 მაისიდან ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსთვის თავისუფალ მდგომარეობაში ჩაბარებამდე - წელიწადში 19,973.6 ლარი.

²³ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ, 2022 წლის 15 თებერვლის განჩინებით, მხარეების საკასაციო საჩივარი ცნო დაუშვებლად. შესაბამისად, ძალაში დარჩა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 24 მაისის გადაწყვეტილება.

2.5 დაკავშირებულ მხარეთა შესახებ განმარტებითი შენიშვნები

აუდიტის მიგნება

2021 წლის 31 დეკემბრით წარდგენილ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია სსბასს 20-ის – „დაკავშირებულ მხარეთა შესახებ განმარტებითი შენიშვნები“ მოთხოვნათა შესაბამისად.

განმარტებით შენიშვნებში არ არის მოცემული დეტალური ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციების შესახებ და არ არის წარმოდგენილი სტანდარტით მოთხოვნილი სხვა ინფორმაცია.²⁴

კომპონენტები, სადაც გამოვლინდა დარღვევა

ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

²⁴ სსბასს 20, მუხლები: 27 - 41.

3. აუდიტის მიმდინარეობისას გათვალისწინებული საკითხები

3.1 წმინდა ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

აუდიტის მიგნება	2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში საოპერაციო, საინვესტიციო და ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები (არასაბიუჯეტო სახსრები) 19,283 ლარით შეუსაბამობაში იყო ფულადი სახსრების ცვლილებასთან.
კომპონენტი, სადაც გამოვლინდა დარღვევა	ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - სახაზინო სამსახური.

3.2 შემოსავლები გრანტებით

აუდიტის მიგნება	2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა 14ბ-ში სასაქონლო ფორმით მიღებული მიმდინარე გრანტები 280,100 ლარით შეუსაბამობაში იყო შენიშვნა 3-ის გრანტის მიღებებთან.
კომპონენტი, სადაც გამოვლინდა დარღვევა	ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

3.3 გრანტებით ხარჯები

აუდიტის მიგნება N1	2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა 17ბ-ში სასაქონლო ფორმით გაცემული კაპიტალური გრანტები 4,050,022 ლარით შეუსაბამობაში იყო შენიშვნა 6, 8 და 11-ის გრანტის გასვლებთან.
აუდიტის მიგნება N2	2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა 17ბ-ში სასაქონლო ფორმით გაცემული მიმდინარე გრანტები 193,522 ლარით შეუსაბამობაში იყო შენიშვნა 3-ის გრანტის გასვლებთან.
კომპონენტები, სადაც გამოვლინდა დარღვევა	ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ა(ა)იპ – აგროსერვის ცენტრი.

4. კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შეუსაბამობის საკითხები

4.1 სააღრიცხვო პოლიტიკა

აუდიტის მიგნება

სსპას 3 – „სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები“ თანახმად, სააღრიცხვო პოლიტიკა წარმოადგენს ერთეულის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის დროს გამოყენებული გარკვეული პრინციპების, საფუძვლების, დაშვებების, წესებისა და პრაქტიკული მეთოდების ერთობლიობას.²⁵ სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავება, დანერგვა და გამოყენება ორგანიზაციაში აღრიცხვის თანმიმდევრულობის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა.

საბიუჯეტო ორგანიზაციებს არ აქვთ შემუშავებული და დანერგილი საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით განსაზღვრული სააღრიცხვო პოლიტიკა.

კომპონენტები, სადაც გამოვლინდა დარღვევა

მთავრობის აპარატი.

უმაღლესი საბჭოს აპარატი.

უმაღლესი საარჩევნო კომისია.

ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

4.2 ადამიანური რესურსების მართვა

აუდიტის მიგნება

2021 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თანახმად,²⁶ რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების დარიცხულმა სახელფასო ხარჯმა შეადგინა 52,539,916 ლარი,²⁷ საიდანაც საშტატო ნუსხით განსაზღვრული პირების „შრომის ანაზღაურების“ ხარჯია 38,484,218 ლარი,²⁸ ხოლო შტატგარეშეთა ანაზღაურების ხარჯი – 14,055,697 ლარი.²⁹

2020 წელთან მიმართებით, საბიუჯეტო ორგანიზაციების ჯამური სახელფასო ხარჯები 2021 წელს გაზრდილია 2,299,161 ლარით. ხარჯების ზრდა ძირითადად დაკავშირებულია შტატგარეშეთა ანაზღაურების ხარჯების ზრდასთან.

2021 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გაწეული „შრომის ანაზღაურების“ და „შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურების“ საკასო ხარჯი 41,763 ლარით აღემატება დარიცხულ ხარჯს. შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურებაში საკასო ხარჯების მეტობა დაკავშირებულია სსიპ – აჭარის სატყეო სააგენტოს „სატყეო სამეურნეო ინფრასტრუქტურის გამართვის“ ქვეპროგრამასთან, რომლის ფარგლებში განხორციელდა ახალი გზის გაყვანისა და არსებული გზის შეკეთების სამუშაოები. ახალი გზის

²⁵ სსპას 3, მუხლი 7, განმარტებები.

²⁶ შენიშვნა N17 დარიცხული ხარჯები, გრანტები და სუბსიდიები.

²⁷ 49,636,070 ლარი საბიუჯეტო სახსრებით, 2,903,846 ლარი - არასაბიუჯეტო სახსრებით.

²⁸ 37,159,545 ლარი საბიუჯეტო სახსრებით, 1,324,673 ლარი - არასაბიუჯეტო სახსრებით.

²⁹ 12,476,525 ლარი საბიუჯეტო სახსრებით, 1,579,173 ლარი - არასაბიუჯეტო სახსრებით.

სამუშაოებზე დასაქმებულ შტატგარეშე მომუშავეთა ხელფასი³⁰ არ იქნა აღიარებული ხარჯად და აღირიცხა ახალი გზების თვითღირებულებაში.

შრომის ანაზღაურებაში საკასო ხარჯების მეტობა დაკავშირებულია თანამშრომელთა სახელფასო ანგარიშსწორების შემდგომ გათავისუფლებისას წარმოქმნილ მოთხოვნებთან და 2021 წლის დეკემბერში გაცემულ საშვებულებო ანაზღაურებასთან. აღსანიშნავია, რომ საბიუჯეტო ორგანიზაციებს ერიცხებათ მოკლევადიანი (მიმდინარე) მოთხოვნები³¹ თანამშრომლების მიმართ,³² რომლის ამოღებაზე ეფექტიანი ღონისძიებები განხორციელებული არ არის.

საბიუჯეტო ორგანიზაციების შინაგანაწესით განსაზღვრულია, რომ თანამშრომელთა სამსახურში გამოცხადება და წასვლა აღირიცხება სპეციალური ტექნიკური საშუალების – ტურნიკეტის გამოყენებით. სისტემა კონტროლის მექანიზმია, რომელიც უზრუნველყოფს დადასტურდეს თანამშრომელთა სამსახურში ყოფნა და სამსახურებრივი მოვალეობების შესრულება.

2021 წელს ხელფასის დარიცხვის მიზნით შევსებული სამუშაო დროის ტაბელის მონაცემები განსხვავდება ტურნიკეტზე დაფიქსირებულისგან. მოპოვებული ინფორმაციით, აღნიშნულის მიზეზია COVID-19-ის პანდემიით გამოწვეული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გამო, თანამშრომელთა მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება როგორც დისტანციურად, ასევე შემცირებული სამუშაო დროით.

აღსანიშნავია, რომ აუდიტის მიმდინარეობის პერიოდშიც, მხოლოდ რამდენიმე საბიუჯეტო ორგანიზაციას გააჩნდა აღრიცხვის ავტომატიზებული სისტემა,³³ რაც შიდა კონტროლის სისტემის სისუსტეზე მიუთითებს და საბიუჯეტო რესურსების არაეფექტიანი განკარგვის რისკებს წარმოშობს.

კომპონენტები, სადაც გამოვლინდა დარღვევა

მთავრობის აპარატი.

უმაღლესი საბჭოს აპარატი.

უმაღლესი საარჩევნო კომისია.

ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

4.3 ტრანსპორტის ხარჯები

აუდიტის მიგნება

ხაზინის მონაცემებით, 2021 წელს რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გაწეულმა ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის საკასო ხარჯმა შეადგინა 8,857,420 ლარი, მათ შორის, საწვავ/საპოხი მასალების შემენის ხარჯი შეადგენს 2,674,601 ლარს, ხოლო ექსპლუატაციის, სათადარიგო ნაწილების და მათი რემონტის ხარჯები – 2,203,169 ლარს.

ტრანსპორტთან დაკავშირებული დანახარჯების ანალიზი ცხადყოფს, რომ ხარჯების შემცირება შესაძლებელია ავტოპარკის ოპტიმიზაციისა და რიგ შემთხვევებში, მიზანშეუწონელი დანახარჯების შემცირებით. ასევე მნიშვნელოვანია ტრანსპორტთან დაკავშირებული დანახარჯების მართვის ეფექტიანი შიდა კონტროლის მექანიზმის დანერგვა. აუდიტის შედეგად

³⁰ 36,763 ლარი.

³¹ ანგარიშებზე 1-13-7600, 1-13-7700.

³² მაგალითად, სოფლის მეურნეობის სამინისტროს აქვს 3,637 ლარის მოთხოვნები.

³³ სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სსიპ - ლაბორატორიული კვლევითი ცენტრი, ა(ა)იპ - აგროსერვის ცენტრი.

გამოვლინდა ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის სარგებლობაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალების სამართავად გადაცემის ფაქტი ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში მყოფი პირისთვის, ასევე ისეთი ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვის შემთხვევა, რომელსაც დადგენილი წესით არ გაუვლია პერიოდული ტექნიკური ინსპექტირება.

შიდა კონტროლის სისტემის სისუსტის შემთხვევები გამოვლინდა აგრეთვე ავტოსატრანსპორტო საშუალებების შეკეთებასთან დაკავშირებული ხარჯების შემოწმების დროს. კერძოდ, დაზიანებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებას, რომლის საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის ფაქტი³⁴ დადგენილი წესით არ იყო დაფიქსირებული,³⁵ ჩაუტარდა 3,720 ლარის ღირებულების სათუნუქე და სამღებრო სამუშაოები.³⁶ შედეგად, აღდგენის ხარჯები³⁷ არ ანაზღაურდა სადაზღვევო კომპანიის მიერ.

კომპონენტი, სადაც
გამოვლინდა დარღვევა

ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი.

³⁴ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის განმარტებით, ავტოსატრანსპორტო საშუალების დაზიანება გამოწვეული იყო ბუნებრივი ცვეთით, თუმცა მიმწოდებელი კომპანიის - შპს „ჯეო-ავტოს“ მენეჯერის ახსნა-განმარტებით ირკვევა, რომ ავტოსატრანსპორტო საშუალების დაზიანების მიზეზი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა იყო.

³⁵ სავარაუდოდ, არ იქნა გამოძახებული საპატრულო პოლიცია.

³⁶ მიღება-ჩაბარების აქტი N9-3, 19/07/2021 (ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N9, 17/03/2021).

³⁷ 3,720 ლარი.

5. წინა პერიოდში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა

რეკომენდაცია	ნაერთი (კონსოლიდირებული) ფინანსური ანგარიშგების სამართლიანად და უტყუარად წარდგენის მიზნით, განხორციელდეს მხარჯავი დაწესებულებების მფლობელობაში არსებული აქტივების შეფასება და აღრიცხვა, რაც შეამცირებს ფინანსურ ანგარიშგებაში ინფორმაციის არასწორად ასახვის რისკს.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	ნაწილობრივ შესრულებული.
რეკომენდაცია	ნაერთი (კონსოლიდირებული) ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, განხორციელდეს ავანსად გადახდილი თანხების კონსოლიდირებულ და სამინისტროს ნაერთ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვა, ამასთანავე, შეფასდეს მათი რეალობა, ხანდაზმულობა, ამოღების ალბათობა და ა.შ. მოცემული შეფასების საფუძველზე, მოქმედი რეგულაციების გათვალისწინებით, სამინისტროს ხელმძღვანელობამ მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	შესრულებული.
რეკომენდაცია	ნაერთი (კონსოლიდირებული) ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, განხორციელდეს უმაღლესი საბჭოს ბალანსზე აღრიცხული ვალდებულებების რეალობის შეფასება, ხანდაზმულობა, გადახდის მიზანშეწონილობა და ა.შ. მოცემული შეფასების საფუძველზე მიღებულ იქნეს მოქმედი რეგულაციებით გათვალისწინებით სათანადო გადაწყვეტილება.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	შესრულებული.
რეკომენდაცია	ნაერთი (კონსოლიდირებული) ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, საბიუჯეტო ორგანიზაციებმა, მარეგულირებელი ნორმების საფუძველზე უზრუნველყონ ორგანიზაციის ბალანსზე რიცხული ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარება, შეფასება და შედეგების ბუღალტრული ასახვა.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	ნაწილობრივ შესრულებული.
რეკომენდაცია	ნაერთი (კონსოლიდირებული) ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, სპორტის დეპარტამენტმა განახორციელოს საცნობარო მუხლში ასახული აქტივების ფაქტობრივად არსებობის შეფასება და მოქმედი რეგულაციების გათვალისწინებით მიღებულ იქნეს შესაბამისი გადაწყვეტილება.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	შესრულებული.

რეკომენდაცია

ავტომობილების საჭიროების მიხედვით გადანაწილებისა და ავტოპარკზე გასაწევი ხარჯების შემცირების უზრუნველსაყოფად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ შეიმუშაოს ტრანსპორტის ხარჯების ოპტიმიზაციის გეგმა, რომელიც განსაზღვრავს ავტოპარკის ოპტიმალურ გადანაწილებას, კლასიფიცირებას და ავტომობილების ზღვრული ოდენობის კონტროლს, ხოლო ავტოპარკით მოსარგებლე ორგანიზაციებს დაავალდებულებს შეიმუშაონ საწვავის ლიმიტის გაანგარიშების წესი, რაც დაფუძნებული იქნება თვის განმავლობაში ავტომობილის მიერ სამსახურებრივი დანიშნულებისთვის გასავლელ საშუალო მანძილსა და ავტომობილის წვის ნორმაზე.

**რეკომენდაციის შესრულების
სტატუსი**

ნაწილობრივ შესრულებული.

საკონტაქტო ინფორმაცია

გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის პროცესზე პასუხისმგებელ პირი	ჰენრი სანიკიძე ჯგუფის უფროსი ელფოსტის მისამართი: hsanikidze@sao.ge
სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის სისტემა	https://aris.sao.ge/
ვებგვერდი და სოციალური მედია	https://www.sao.ge/ https://www.budgetmonitor.ge/ka http://www.blog.sao.ge/ http://www.sai.ge/main/ https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/ https://www.youtube.com/user/saogeorgia https://www.facebook.com/www.sao.ge
ცხელი ხაზი	(+995 32) 243 81 81
ელექტრონული ფოსტა	sao@sao.ge

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38

SAO.GE